სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26
2024 წლის 24 დეკემბერი

ქ. სამტრედია

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მუხლი 1

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“-პუნქტის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, საქართველოს კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №22 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებპორტალი, 21/12/2021 წ., სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.120.016382) შეტანილ იქნეს ცვლილება.

მუხლი 2

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიიას მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №22 დადგენილების დანართი №1 და დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **ვაჟა სტურუა**

დანართი №1

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობა

იერარქიული რანგი	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო	საშტატო რიცხოვნობა
საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირები			
	საკრებულოს თავმჯდომარე	6003	1
	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	4539	1
	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	3953	2
	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	3221	5

	ფრაქციის თავმჯდომარე	2928	2
	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	2343	9
პოლიტიკურ თანამდებობის პირთა რაოდენობა			**20**
საკრებულოს სტრუქტურული ერთეულების პროფესიული საჯარო მოხელეები. **საკრებულოს აპარატი**			
I რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი	3358	1
III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საორგანიზაციო საკითხებში)	1752	4
III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	1752	1
III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში)	1752	1
III რანგი	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საორგანიზაციო საკითხებში)	1606	2
	სულ:		9

დანართი №2

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობა

№	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხა		სარგო (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარის მდივანი	1	1331
2	მძღოლი	1	1730
3	დამლაგებელი	1	690